



# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.  
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№97 (1607)

4-6 ოქტომბერი, 1997 წელი

## ამა ამბავი იმისა, რა ჩვენება გამოსძალას 18 წლის გოგონას ტანჯვა-წაგვებით...



იხ. პენსია გვერდი

## აჯობებდა, მამაკაცურად, სამართალოსათვის გაბერისკათ!

იხ. მეოთხე გვერდი

## ბრბაროსობის სუნთქვა



იხ. მეხუთე გვერდი

შპს რამდენიმე წელიწადია, რაც შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი დახმარებით ოსი ეროვნების სეპარატისტებმა კანონსაწინააღმდეგოდ შექმნეს ოსური ეროვნული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული „სამხრეთ ოსეთის“ სახელწოდებით, დაარქვეს მას „რესპუბლიკა“, ჩაატარეს კანონსაწინააღმდეგო „რეფერენდუმი“ ამ ერთეულის სტატუსის საკითხზე, უკანონოდ აირჩიეს თვითმარქვია „პარლამენტი“ და თვითმარქვია „პრეზიდენტი“. ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის შეიარაღებული ძალებისაგან მიღებული იარაღის ძალით მათ გამოაძევეს ქცხინვალის და ყოფ.ზნაურის რაიონის სოფლების ქართველი მოსახლეობა, რომელიც დღესაც ვერ ბრუნდება თავის სახლებში, და, ამგვარად, ჩაატარეს ტერიტორიის, ეთნიკური წმენდა ქართველებისაგან. ოსი ეროვნების მოქალაქეთა ამ უმად მიმდინარე სეპარატისტული გააქტიურება ამ ზონაში სსრკ ცენტრალური ხელისუფლების სტიმულირებით დაიწყო 1987-88 წლებში, როგორც სსრკ ცენტრალური ხელისუფლების პასუხი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე ამ წლებში. 1989 წლის დამლევდნამ ოს სეპარატისტთა ამ გააქტიურებას უკვე მოჰყვა მსხვერპლი, რომელმაც დღეისათვის, ორივე მხრიდან, ათას ადამიანს გადააჭარბა.

შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის მცდელობა რუსეთის იმპერიამ ერთხელ უკვე განახორციელა 1922 წლის აპრილში, რუსეთის არმიის (წითელი არმიის) მიერ საქართველოს დაპყრობიდან 14 თვის თავზე, როცა ოკუპანტთა მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ დაარსე-

როგორც კანონზომიერი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და შიდა მრავალპარტიად 1989-1992 წლებში და შემდეგ, ისე კანონზომიერია დღეს, უღმობელი გარეგანი და შინაგანი მტრის წინაშე, ყველა პატიოსანი და ერთგული ეროვნული ძალის ერთიანობისკენ მიმართული ძალისხმევა. პარტიები დიალაც არიან, მაგრამ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესთა დაცვაში ისინი ერთად დგანან და იღვებიან. ამის დასტურია ქვემოთწარმოდგენილი ერთობლივი განცხადება.

## ერთობლივი განცხადება

ბა მოხდა. საქართველოს პირველმა დემოკრატიულად (მრავალპარტიული სისტემით) არჩეულმა უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ - საქართველოს უზენაესმა საბჭომ - არჩევნებიდან ერთი თვის თავზე გააუქმა უკანონო ავტონომია, რომლის შექმნისა და არსებობისათვის არაერთარი სამართლებრივი, ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და მორალური საფუძველი არ არსებობდა. რუსეთიდან მხარდაჭერილი სეპარატისტების მიერ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შემოსხენებული გამოცხადება დღეს საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის ისტორიულად მფორე მცდელობაა.

არც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, არც „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ არც ერთი საათი არ უარსებიათ სხენებულ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის რეგულარული შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე.

თუმცა საქართველოს პარლამენტის მოვალეობაა ოსი სეპარატისტების მიერ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ზონაში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ სახელით ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შექმნის შემოსხენებული კანონსაწინააღმ-

დგომ მცდელობის აღკვეთა ამ მცდელობასთან დაკავშირებულ იმ უკანონო აქტთა ბათილად გამოცხადების გზით, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, და თუმცა იგივე შეადგენს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას, დღემდე არც პარლამენტს, არც პრეზიდენტს ეს არ გაუკეთებიათ. უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე სისტემატიურად ხმარობს კანონსაწინააღმდეგო გამოთქმას „სამხრეთ ოსეთის“ როგორც შევარდნაძე, ისე პარლამენტი სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიუმართავად ურთოდებიან ქართველი მოსახლეობისაგან საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის შემოსხენებული „ეთნიკური წმენდის“ შედეგებს, ცხინვალში თვითმარქვია ანტისახელმწიფოებრივი „პარლამენტისა“ და „პრეზიდენტის“ ყოფნას, მათ მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მართვას, მათ მიერ სამხედრო ძალების შექმნასა და ზრდას, სამხედრო პარადების ჩატარებას და რუსეთისადმი მიმართვას საქართველოს შემოსხენებული ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის წინადადებით პრეზიდენტი შევარდნაძისა და პარლამენტის ეს პოლიტიკა (რომელიც, პარლამენტის შემთხვევაში, მისი უმრავლესობის - მოქალაქეთა კავშირის“ პოზიციითაა განსაზღვრული ჩვენ,

ქვემოთ ხელის მოწერით, მიგვაჩნია სახელმწიფოს ღალატად (რაგინდ კეთილი სურვილები ცხადდებოდეს მის საფუძვლად), რის გამოც ჩვენს ერთ-ერთ მიზნად ვსახავთ იმის უზრუნველყოფას, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე და პარლამენტის შემადგენლობა, რომელიც სხენებულ ღალატს სწადის, კანონის წინაშე პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი ამ ღალატისათვის.

მმართველთა ამ გუნდის მაქსიმალურად სწრაფი ჩამოცილება საქართველოს სახელმწიფოს საჭისაგან კანონიერი გზით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ეროვნული ამოცანაა.

ვიცნობთ რა საქართველოს ეუთოს მისიის საქმიანობას შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მის „რეკომენდაციებს“ საქართველოში კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის შესახებ, და ამოვიღოთ ერთ რა იქიდან, რომ ეს „რეკომენდაციები“ არაა დაფუძნებული ადამიანის უფლებათა და ეროვნული უმცირესობების ან უმრავლესობების უფლებათა დაცვისა და უზრუნველყოფის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებზე, აგრეთვე იქიდან, რომ ეუთოს მისიის „რეკომენდაციათა“ შესრულება კი არ დააცხრობს, არამედ, პირიქით, გაამძაფრებს კონფლიქტს, სახელდობრ, ექვსასათასიანი ოსი ერის წინაშე დააყენებს ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორე ხელოვნურის, საქართველოს ხარჯზე შექმნილის - „შეერთების“ ზოგადეროვნულ ამოცანას, რაც ჩვენს რეგიონს განუწყვეტელ სისხლის ღვრას მოუტანს მანამდე, სანამ ან საქართველო არ დამარცხდება და ტერიტორიას არ დაკარგავს, ან ოსების ძალისხმევა არ განიც-



# ერთობლივი განსხვავება

პირველი გვერდი

დის გადაწყვეტ დამარცხებას, ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, უნდა დავლობას ვუცხადებთ ეუთოს მისიას საქართველოში,

ჩვენ ვაფრთხილებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ იმ მოტივებით ეროვნული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულების შექმნა სახელმწიფოთა შიგნით, რომლითაც ეუთოს მისია ასეთი ერთეულის შექმნას სთავაზობს საქართველოს, - სახელდობრ, იმ მოტივით, რომ

ა) ოსურმა დიასპორამ, რომელიც საქართველოში ძირითადად XIX საუკუნეში შემოსახლდა და მისი ტერიტორიის გარკვეულ ნებისმიერად მოხაზულ ნაწილში მოსახლეობის 50%-ზე მეტი შეადგინა, და რომ ბ) ოსები „შეეჩვივნენ“ საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 70 წლის მანძილზე მათთვის უკანონოდ მიცემული ტერიტორიული ავტონომიის და მისი უკანონო სახელის „სამხრეთ ოსეთის“ არსებობას,

სახიფათო პრეცედენტს შექმნის, ერთის მხრივ, უკანონო ტერიტორიულ და პოლიტიკურ ცვლილებათა ლეგალიზაციისათვის და, შესაბამისად, ახალ უკანონოებას სტიმულირებისათვის მსოფლიოში, მეორე მხრივ, სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფთა (უმრავლესობათა და უმცირესობათა) შიშისათვის ერთმანეთის დემოგრაფიული წინსვლის წინაშე (რაკი ეს წინსვლა ტერიტორიულ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველი ხდება) და, მაშასადამე გენოციდისა და „ეთნოკური წმენდის“ სტიმულირებისათვის მათს ურთიერთობაში.

ჩვენ სრულ ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს თავს იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანაზე დღეს წარმოებულ შემოტევას შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნის მიმართულებით. ერთის მხრივ, ესაა რუსეთის გაფლანკების შექმნის სურვილი, რომელიც პირველი საჭიროებისთანავე იქნება გამოყენებული საქართველოს ძირითად კომუნიკაციათა გადასაჭრელად და, შესაძლოა, საქართველოს დედაქალაქზე შესატყვად. მეორე მხრივ, ესაა რუსეთის მისწრაფება საქართველოს ფედერალიზაციისაკენ, რაც საქართველოს პოტენციურად დაასუსტებს და ამავე დროს რუსეთისათვის პოლიტიკურად სასურველი ანალოგიის ილუზიას შექმნის ჯერ კიდევ იმპერიული რუსეთის და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ევოლუციის პროცესებს შორის.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის წინაშე, რომ ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებს, რომლებიც დღესაც კიდევ ვდგავართ ჩვენი ქვეყნისათვის კომუნიტურ-მაფიური უღლის მოშორების ამოცანის წინაშე, საესებო კონკრეტული პროგრამა გვაქვს საქართველოში მაცხოვრებელი ყველა ეროვნული და ეთნიკური ჯგუფის სპეციფიკური ინტერესების სრული დაკმაყოფილების (გარანტირებული დაცვის) საქართველოს საერთო სახელმწიფო ინტერესთა შეუ-

ლახავად და მათთან ჰარმონიაში. ერთის მხრივ, ასეთ გარანტიას იძლევა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის სრული თანასწორობის პრინციპის განუხრეული დაცვა და ამ ინტერესთა დაცვისა და რეალიზაციის ადგილობრივი თვითმმართველობის მექანიზმთა სრული განვითარება, მეორე მხრივ, ამ ინტერესთა დაცვისა და რეალიზაციის გზა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ისეთი კულტურული და სხვა სახის ინიციატივითა არსებობა, რომლებიც მოიცავენ მოცემული ეროვნული უმცირესობის მთელ მოსახლეობას (თუკი მას მსურს), და არა მხოლოდ კომპაქტურად მაცხოვრებელს, და რომელიც ქმედითად ემსახურება იმ მოსახლეობის ორგანულ მონაწილეობას საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამგვარი მიდგომა ამოცანისადმი სასარგებლოა საქართველოს მთელი ოსი მოსახლეობისთვისაც, რომელიც 160 ათას სულს ითვლის, და არა მხოლოდ იმ 60 ათასისათვის, რომელიც შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობს.

საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ, ვთვლით რა შეეარდნადის და საპარლამენტო უმრავლესობის - პარტია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრების - პოლიტიკას შიდა ქართლის პრობლემათა მიმართ სახელმწიფო დამატად, ხოლო თვით შეეარდნაძეს და ზემოსწავლულ უმრავლესობას - უცხო ქვეყნის ფუნქციონირებად საქართველოში, ჩვენ მომხრენი ვართ პრეზიდენტი შევარდნაძისა და საქართველოს დღევანდელი პარლამენტის მიერ გატარებული ყველა იმ აქციის გაუქმებისა მომავალი სახელმწიფოებრივად ერთეული ხელისუფლების მიერ, რომლებშიც დაფიქსირებული იქნება მათი ზემოსწავლული მოღალატური პოზიცია საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის მიმართულებით. ქვემოთ ხელისმომწერი პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეს აქტები გაუქმდება. ვიმედოვნებთ, რომ იგივე მოხდება ყველა სხვა, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაშიც.

ანალოგიური განცხადება პრეზიდენტს შევარდნაძისა და საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკაზე აფხაზეთის პრობლემათა მიმართ და რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში ყოფნის მიმართ, აგრეთვე რუსეთის შესაზღვრეთა მიერ საქართველოს საზღვრის „დაცვის“ მიმართ გაკეთდება უახლოეს დროში.

**ნოვარ ნათაძე, სამართმართლო ბაიბრატაშვილი რუსაშვილი პარტიის**

**ნახანა გომიკიძე, კონსტანტინე ბაშაშვილის საზოგადოება**

**ანაბარია, სამართმართლო სახელმწიფოებრივ-მეორეული მთლიანობის პარტია „სამშობლოს შარი“**

რედაქცია ითვალისწინებს, რა მიმე მოვალეობაა ეროვნული მიმართულებების პარტიისათვის, რომ უნდობლობა გამოუცხადოს ეუთოს მისიას. ამიტომ შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება ნაწევრები ამ მისიის „რეკომენდაციებიდან“, საიდანაც მკითხველი ამ მისიის პოზიციის არსს დაინახავს.

# ისა მოგვხუროდა გაზი და დანი, აღარც დანი გვარტყამს და გაზის კამერაშიც არ დავიხუთებით

სხვაში ამბობენ, ქართველები ფიცხი ხალხიაო, როგორ გეკადრებათ, ქართველებზე მომთმენი ხალხი ძალზე ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში. თავი დაეანებოთ იმას, რომ ბევრ ისეთ რამეს ითმენენ, რაც არა აქვთ გაზი არა აქვთ, შუკი არა აქვთ, მთავრობა არა ჰყავთ, უკაცრავად, მთავრობა კი ჰყავთ, მაგრამ ვერ იყენებენ (რას იზამ, უნიჭობა). მაგრამ ამაზე დიდი მოსაზრებით არსებობს.

ეინე იმას რომ გვირდება, რასაც, შენ იცი და თვითონაც იცის, შენც იცი, რომ თვითონაც იცის და თვითონაც იცის, რომ შენც იცი. მოკლედ, რომ არ შეასრულებს.

ასეთი დაპირება, უფრო ზუსტად, „მუქარა“, როცა ფეხბურთელები იმუქრებიან - ინგლისს, გერმანიას, თუნდაც იტალიას მოუვებთ, დედას უტყობთო ან „საქენერო“ რომ გვემუქრება, ოცდაათი საათი დენი გეჭნებათ, დედას გიტრებთო, გვემუქრებიან ხან მეცხრე ხან მეთუ ბლოკებით ის წინა რვა ბლოკი აკლიათ, ცემენც, აჯობს და მერე ნახეთ სინათლე და ტელევიზორი, აღარც დაიბადებიან ბავშვები საქართველოში. იქნება, ეგ

მამაცხინებულები იმითაც არ იძლევიან სინათლეს რომ არ სურთ დემოკრატიულ პროცესს ხელი შეუშალონ, მაგრამ რატომაც, მინცდამინც გლდანის, ნაძალადევისა და ვარკეთილის გამარჯვება სურთ ამ კეთილ... შობილებს რა დაუშავა ასეთი საწყაღმა ვაკემ და ვერამ?

მერე კიდევ, რომ ამბობს, გადაინადრეთ და გეჭნებთო, ეგ სად არის? ვინც იხდის - აქვს? ეგ არაფერი, აი, ერთ წელიწადში მრიცხელებს დაედგამთ და გაერგებთ, ვის ეჭნება და ვის - არაო. ეს ერთი წელიწადი რაღა ეჭნათ? ან მერე ახალი ოხრობა და მუდრეგობა არ გამოჩნდება? ვთქვამთ, ყველას პირადი ხაზის გაყვანა დასჭირდება.

დენით დაშინება არ არის საკმარისი. ეტყობა, დაპირება-მუქარის აღიანში ახლა გაზით მუქარის ვარიანტიც მოსინჯეს კაცმა არ იცის, ვის მისცემენ და როდის მისცემენ, ან როგორ მისცემენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ეგ გაზი გაზის კამერებში ხალხის დასახუთავად იქნეს გამოყენებული, ქართველი ხალხის გენოციდის დღევანდელ

ტენდენციას თუ გაეთვალისწინებთ. არადა, რა საჭიროა, ერთი წლით ადრე რომ გვაშინებს ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, 1998 წლისათვის გაზი გეჭნებათო. ეგ კი არა და, 70 წელი გვაშინებდნენ, კომუნისტში შეგაფლიო და გული არაგის გასკდომია. ორი დღით ადრე გააფრთხილოს ხალხი, არ ვლობა? აღბათ, იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ აქ ადგილებს ტყვილად არ ვიკავებთო, ხალხზე თუ არ ვიზრუნეთ, აბა, რისთვისა ვართ აქო. მოკლედ, იცოდეთ, რომ რაღაცეებს მინც ვაკეთებთო.

დალოცვილებო, დენით შეშინებამ რა გეყოფ, რომ გაზით დაშინებულს შეგვიღონდეს გული. საქმე ის იქნება, მერე გაზის მრცხელების პრობლემა არ წარმოიქმნას წავა ჩართვა-გამორთვა. გაზი, მოგვსენებათ, დენი არ არის პოლად, აღბათ, სულ ბათუბუთი იქნება ჩართვის დროს.

არ შეიძლება ასეთი ზემორობა. იმ მოსამართლისა არ იყოს, „კარგი რა, მამედ, ჩვენც ხალხი ვართ“.

პაპა მანუაშვილი

# „უკვე ძნელი იმედდაკარგულ ხალხთან საუბარი“

სენაში მცხოვრები 16 ათასი აფხაზეთიდან დევნილი უკმაყოფილებას გამოთქვამს ბოლო დროს შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო.


დღისწულთან დაკავშირებით „ფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თანდარევიშვილმა განაცხადა, რომ სენაში მცხოვრები დევნილები ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 20 ოქტომბრამდე შეხვედრას ითხოვენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. თანდარევიშვილის თქმით, დევნილები შეუფოთებულნი არიან აფხაზეთის საკითხის „დარეგულირებით“ და ცარიელი დაპირებებით, ასევე იმით, რომ დროულად არ დებულა ფულად და პუმიანტარულ დამხარებებს. მისივე თქმით, ახლოვდება ზამთრის სეზონი, რაც კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის დევნილებს.

როგორც აფხაზეთის ა/რ დეპუტატი ხელისუფლების ხელმძღვანელმა „ფრინდა“-ს გა-

ნუცხადა, ოგი უკვე შეხვდა დევნილებს და დააკმაყოფილა მათი შეკითხვები. თანდარევიშვილის თქმით, დევნილები აპირებენ სარკინო ზო და საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვას და აქციების დაწყებას. მათ 15-20 დღის წინ წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ წერილს ადრესატამდე არც კი მიუღწევია. ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დევნილთა მოთხოვნები სახელმწიფო მინისტრს ნ.ლევიშვილს გადასცა.

სენაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს 2 ოქტომბერს თბილისიდან ეწვიენ რეკონსტრუქციის მართვისა და პოლიტიკის სამსახურის თანამშრომლები, რამაც თანდარევიშვილის თქმით, სიტუაცია გარკვეულწილად განმუხტა, თუმცა, მისივე თქმით, ეს არაფერს არ ნიშნავს.

თანდარევიშვილის განცხადებით, დღეისათვის დევნილთა 99% მხარს უჭერს მის კურსსა და პლატფორმას. თანდარევიშვილი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფ რუსეთის სამშვიდობო ძალების



მანდატის ვადა, რომელიც ოქტომბრის ბოლოს იწურება - გაგრძელდება მისი ვარაუდით, დღეს-წერი ქვეყნის მეთაურთა სამიტზე განხილდება აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის საკითხები, რაც ძალზე გაამწვავებს სიტუაციას. ქვემოთ პოზიციიდან გამოდინარე მიჭირს საუბარი იმედდაკარგულ ხალხთან, რადგან მათი დარწმუნება უკვე ძალიან ძნელია - განაცხადა თანდარევიშვილმა. (მშ-რინდა)

# გროზნო თბილისსა და სოხუმს სთავაზობს დიალოგის წარმოშობას უზაგავლავის გარეშე

„აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად ქართულ მხარეს არ სჭირდება არც რუსი, არც ჩეჩენი და არც რომელიმე სხვა შუამავლები“, - განაცხადა ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე თბილისში მორიგი ვიზიტით მყოფმა ჩეჩენეთის ვიცე-პრემიერმა, ჩეჩენეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში, ახმედ ზაკაევიმ.

ახმედ ზაკაევისა და ედუარდ შევარდნაძეს შორის გუშინ დილით გამართული შეხვედრა, დაახლოებით, ერთ საათს გაგრძელდა. შეხვედრის შემდეგ ზაკაევიმა განაცხადა, რომ „დროა მივეჩვიოთ გროზნოსა და თბილისს შორის რეგულარულ კონტაქტებს, რომლებმაც დაძლიეს ხელოვნური ბარიერი“.

ზაკაევის თქმით, საქართველოსა და ჩეჩენეთის ხელმძღვანელთა შეხვედრებს „ყოველთვის აქვს დადებითი შედეგი“. ამასთანავე, მან თავი შეიკავა საქართველოს პრეზიდენტთან გამართული დიალოგის დროს მიმოხილული თემების დაკონკრეტებაზე.

რაც შეეხება 1 ოქტომბერს გამართულ მის შეხვედრას აფხაზეთის დედაქალაქში, ედუარდ შევარდნაძესთან, ზაკაევი განაცხადა, რომ „გროზნოსთვის უშიშროების არ არის ამ კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი და ჩეჩენეთი ყველა დონეს იმარს მშვიდობიანი გზების გამოსახადა“.

ზაკაევის განცხადებით, თბილისსა და სოხუმს „პირდაპირი დიალოგი უნდა წარმართოს, შუამავლების გარეშე, და ურთიერთკომპრომისებზე წაიედნენ“. (პრინციპი)

# „თბილისობა-97“

ძალაძე თბილისის მერიის განკარგულებით დამტკიცდა ტრადიციული „თბილისობის“ დღესასწაულის ჩატარების დონისძიებანი.

მუნიციპალიტეტის სამომხმარებლო ბაზრისა და მოსახლეობის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს 25-26 ოქტომბერს „თბილისობის“ ტრადიციულ დღესასწაულზე საქართველოს ქალაქების და რაიონების მიერ ჩამოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ბაზრობის მოწყობა დისლოკაციის მიხედვით. „თბილისობა-97“ რიყის ტერიტორიაზე უმასპინძლებს ქალაქებისა და რაიონების სტუმრებს, სადაც ჩატარდება ცენტრალური საშემოდგომო ბაზრობა. (მეა)







# აჯობადა, ამაპაპაპაპაპადა, საპარტიოფორსათვის ბაპარისპატი!

ბაპატი „ასავალ-დასავალში“ (№36, 1997 წ.) გამოქვეყნდა ვასილ სოფრომაძის წერილი: „მე ვრისკაც ჩემი შეილებსათვის“, რომელშიც აფხაზეთის პრობლემაზე საუბრობს.

ბატონი ვასო „როგორც ქართველი, პიროვნება და მიზნების“, ღრმად „დაწვრილბუნელი, რომ ეს (მისი - რ.ს.) იდეა ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან“... (აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაზე საუბარი).

სანამ ზემოთხსენებულ „იდევას“ გაეცნობ მკითხველს, მინდა ვითხოვო, რამდენად შეიძლება ოპტიმალური იყოს პოზიცია, რომ მოწინააღმდეგეს დაუკანონო შენთვის წართმეული ტერიტორია, სამშობლოს ნაწილი და ისიც როგორი ნაწილი. თანაც ამის აუცილებლობას ამტკიცებდე, როგორც ქართველი. შეფარული ფორმით ეს სამშობლოს მთლიანობის ნებაყოფლობით დათმობის პროპაგანდა, მტერი რომ არა ვთქვა, რადგან მონღოლი კეთილდღეობის სანაცვლოდ, და, ფაქტობრივად, აფხაზეთზე ხელის აღებას გთავაზობს.

ბატონი ვასო „ტყუარა“ არგუ მენტებს იშველებს ჩვენი პატრიოტიზმის დასაცხრობად (თითქოს ეს გვაკლდეს) და ჩვენს უძღურებში დასარწმუნებლად.

არგუმენტი პირველი თურმე ვასო გვიმტკიცებს, რომ „სოფლიო ისტორიას არ ახსავს შემთხვევა, რომ ბრძოლის ველზე წაგებული ომი შემდგომ ვინმეს მოვგოს ქალაქზე“.

შეშინებულმა მაგრამ რატომ გინდათ ჩაგვანონოთ, რომ ჩვენ ომი წავაგეთ და არა ომის გარეშე უტყუარა, რომ ომი დამთავრდა და აფხაზეთი დაკარგულად ჩათვალეთ. ჩვენ კარგად გვხსოვს სხუთხსენებულ გამოართული პირველი ბრძოლები, სადაც ქართველებმა გულმთასთან კლდით ქვა ასროლინეს რუს მეტყველებსა თუ ათასი ჯურის ბოველებს და ა.შ. ჩვენში მომხდარი კარგი მაგალითია ჩვენთვის, მოწინააღმდეგის შესაძლებლობათა და საკუთარი ძალების შესაფასებლად.

ამას თავი რომ დაგანებოთ, რატომ ჰგონია ბატონი ვასოს, რომ ბრძოლით წაგებულის ქალაქით დაბრუნება ჩვენი საბოლოო შესაძლებლობა და იმედი?

გაეროს წესდებაში არის მუხლი, რომლის მიხედვითაც მოლაპარაკების გზით საკითხის გადაწყვეტლების შემთხვევაში დასაშვებია მის მიერ საკითხის გადაწყვეტა ძალისმიერით მეთოდით.

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებას აქვს სრული უფლება (მოკალაქური და იურიდიული), ვალდებულიყოს, სუბპარტიტა სიჩიუტისას, ძალისმიერი მეთოდებით ადადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ, მანამდე კი ქალაქით ბრძოლა დასაშვებია, თუმცა, ამ სახის ბრძოლის გაცხადებას სასურველი არაა.

არის სხვა გზაც, პოლიტიკური და ძალისმიერი მეთოდების შეხამება. აქ შეიძლება პარტიზანული მოძრაობის ფართო მასშტაბით გამოყენებაც, ერთერთი ძალიან ეფექტური გზაა - ეკონომიკური ბლოკადის გამოკრება, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დახმარებით.

მაშასადამე, არცთუ ისე ცოტა გზა ყოფილა ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად კი, პრეზიდენტს რამდენიმე გზა ჰქონია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ცხადია, ყველა იმ შემთხვევაში ქვეყნის მსგავსებში უნდა იყვნენ მონაწილეები, მოთავენი და ორგანიზატორები. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, შესაძლებელია, იგი სხვა ხელისუფლებამ გააკეთოს. საქმე იმაშია, რომ არჩევნების არც ერთი წინააღმდეგ არაა მტრად გაუცრუვდებათ იმედი ამომრჩევლებს, მით ნაკლები ხდება ხელახლა არჩევის შანსიც, იმ მარტივი გარემოების გამო, რომ ყველაფერი თავისი სიბუნებრივად აქვს.

არგუმენტი მეორე „ჩვენთვის უკონტროლო ნავთობის“ აფხაზეთიდან

გასატანად გაცემად იყვალავი აფხაზეთსა და ჩვენთვის. ახლა ჩვენებს სტაბილურობა სპირიტუალთა აფხაზეთში და იმიტომ მოდიანო „ჩვენთან მოლაპარაკებაზე“. ბატონი სოფრომაძე გვამხმარებს იმ ძალეებით, რომლებმაც აფხაზეთისა და ჩვენთვის საშიშროებანი დაატარა. საქართველოს გასარსებო თავიანთი ფულით. მართალია, ის ამ სიტყვებს არ ხმარობს, მაგრამ ეს აზრი პირდაპირ იკითხება მისი წერილის მეორე პუნქტში.

იმ ათასწლეულების განმავლობაში, რაც საქართველო არსებობს, ხან ერთიანი, ხან კიდევ ქართული სახელმწიფოების სახით, მრავალი გეგმა შეუდგენიათ დამყარობლეს თუ სხვა ჯურის ავანტიურისტებს, მაგრამ საქართველო დღემდე არსებობს, ისინი კი მოუსაგლებელნი წავიდნენ. იმ ბინძურმა სისულმა და ხორცმა, რაც მათ საქართველოში დარჩათ, საქართველოს მიწა განაოყვირეს, საქართველომ შეირგო. ასე იქნება ამჟამადაც. ბატონო ვასო, ქართველებს უთქვამთ - მგლის შიში ტყეში ვინ არ წასულაო. საქართველოს წილში „მესის მახვილი“ და „ღამაშენებელი“ სწორედ მაშინ იბადებოდა, როცა აუცილებლობა მოითხოვდა: ახლაც ასე მოხდება. ძლიერი მერობლის მიერ ხელდასმულებსაც გამოუჩენიათ ფხა, იშვიათად, მაგრამ მაინც. საქართველოსთვის აცეთებდნენ ამას და ასე შეილებსათვის.

არგუმენტი მესამე ბატონ ვასოს ავიწყდება, რომ არჩინება არავინ ვითბება, „ძალი რა ღირს“. „ძლის ფასს“ მას რუსეთი უდგენს. კონფლიქტი აფხაზეთში ერთიკურად შეფერადებული პოლიტიკური კონფლიქტია და ამიტომაც გაჰიანურდა ამდენ ხანს.

რაც შეეხება არჩინებას მოლაპარაკებას აფხაზეთისადმი, ახლა უკვე დღესათვის ნათელია, რამეთუ უკვირანმა აფხაზმა (მე აქ აფსუებს უფრო ვგულისხმობ, ვიდრე ქართული წარმოშობის აფხაზებს) არ შეიძლება არ დაინახოს, თუ რა დამართა მან ამ მიკრერიცხოვანი ეთნოსის გენოფონდს, გინდათ ფიზიკურად და გინდ - მორალურად. ესეც რომ არ იყოს, რატომ უნდა ვიფიქროთ ჩვენ, ქართველებმა, არჩინებას გმირული მარჯანდების შენარჩუნებაზე, ჩემთვის პირადად, ამსოლუტურად გაუგებარია, ქართველი ვასილ სოფრომაძეც, არ მესმის, რატომ ჰგონია ბატონ ვასოს, რომ ქართველებმა არჩინებას სურვილებს უნდა გაუწიონ ანგარიში და იმაზე არ უნდა იფიქროს, რომ რუსეთი აიძულონ დასთმოს თავისი ამბიციური პრეტენზიები აფხაზეთისა და, საერთოდ, საქართველოსადმი. პატრიოტი ხელისუფლებისათვის დღესაც მოიძებნება ამის იურიდიული თუ დიპლომატიური შესაძლებლობები, სხვა შესაძლებლობებზე რომ არაფერი ვთქვა. ისე კი ნამდვილია, რომ მონაწილეები ხელისუფლება სხვა გზებსაც გამოკვნიან, ნაცარტყიას „ხერხი სჯობა ღონესა“ს პრინციპიდან გამომდინარე.

არგუმენტი მეოთხე ამოდ გავრწმუნებს ბატონი ვასო, რომ სოფლიო საზოგადოება „როგორც წესი... პატარა ერს (ანუ აფხაზებს) უფრო დაუჭერს მხარს“. ეს ეტაბი ჩვენ უკვე გვაჩვენა და წარსულის მომავლად გასაღებით ნურავინ ნუ შეგვაშინებს (გაეროს რეზოლუციებზე მაინც არაფერი სმენია!) გარდა ამისა, არ არსებობს აფხაზი ერი. ის დღეს ყალიბდება რუსეთისა და ჩვენი ვაი-ქართველების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. აქ ამის მტკიცების არც ადგილია და არც საჭიროება. მთავარია იცოდეს ყველამ, რომ ის, ვისაც „აფხაზი ვერად“ მოიხსენიებენ, უმრავლესობა ქართული გენისაა, უძროესობა კი - აფსუური წარმოშობის. ტყუილად არ ეძებინ ისინი საქართველოს იმ ნაწილს, რასაც ჩვენ აფხაზეთად მოვიხსენიებთ, თავიანთებურად „აფხაზის“.

არგუმენტი მეხუთე ის, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლები „სამუდამოდ გამოეთიშნენ მოკლენების შემდგომ განვითარებაში მონაწილეობის მიღებას“, მათი ბრალი არაა, ჩვენი ცენტრალური ხელისუფლებების „დაშას-

ურება“, უფრო მეტი რომ არ დავაზუსტო, და თვითონვე მიხვდებიან. ხელისუფლებანი ვიფიქრობ, უკვე მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება წამგვიანია ქვეყნისათვის. არც მათთვისაა მომგებიანი, თუ ორიენტაციას ქვეყნის ინტერესებზე ავიღებთ და არა რუსეთისაზე. აფხაზეთის ხელისუფლებისა და, სახელმძღვანელო „შეილის“ საქმიანად გამოთი შეცენტრალური ხელისუფლების მიერ იმიტომაც იქნება შეცდომა, რომ ეს ხალხი არა მარტო ლეგიტიმური ხელისუფლები, არამედ ისეთივე დევნილია, როგორც სხვა 200 თუ 300 ათასი კაცი, რომლებიც თავიანთი სახლებში და მამულში დაბრუნებას ითხოვენ და რომლებიც მზად არიან მსხვერპლი გაიღონ მის დასაბრუნებლად. ამიტომ, რომ ბატონი სოფრომაძე მათ მოსყიდვას ცდილობს 75-100 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით 99 წლიან პერიოდში, გაურკვეველ ადგილას დასახლებით.

არგუმენტი მეექვსე „შეიქნა პატრიოტი სიტუაცია“, - გვასწავებს ბატონი ვასო. პატრიოტი სიტუაცია მართლაც არ გვაწყობს ქართველებს, მაგრამ გამოსავალი ჩვენზე უნდა მოგვხდნოთ. ცხადია, აქ უპირველესად, ხელისუფლებასა და ეკონომისტებს. მან ეს უმოკლეს დროში უნდა გააკეთოს, თუნდაც თავს ზემოთ გადაატომა დასაქირდეს.

უცხო ძალები დიდ და სახელმწიფოებრივ დონეზე ვერ იმოქმედებენ, ბატონო ვასო, მათი ეჭვქვეშაა კი ხელისუფლებამ უნდა განანეტაროს, მით უფრო, დიდ პოლიტიკაში ნაცადმა კაცმა.

ახლა კი გსოფრომაძის მთავარ სათქმულზე. მას „სიკეთე საქართველოსათვის“ ასე წარმოუდგენია: „საქართველომ და აფხაზეთმა უახლოეს 99 წლის განმავლობაში უნდა გადალენ აფხაზეთის საქართველოდან გასვლას, ანუ აფხაზეთის დამოუკიდებლობის განხილვა. ამ პერიოდში აფხაზეთს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო იურიდიული სუბიექტის სტატუსი (მაშინ „დამოუკიდებლობის განხილვის“ გადადება რას ნიშნავს! - რ.ს.) გალის რაიონი... ამავე 99 წლის განმავლობაში უნდა იყოს გამოყოფილი როგორც საქართველოსაგან, ისე აფხაზეთისაგან; არ უნდა შედიოდეს არც საქართველოს და არც აფხაზეთის დაქვემდებარებაში და უნდა იქნეს გადაცემული ამ პერიოდის განმავლობაში იგარით იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც გამოთქვამს ამ სურვილს“.

გალის რაიონის იგარით აღებაზე თუ ვინ გამოთქვამს სურვილს და პრეტენზიას ვინ განაცხადებს, მკითხველსათვის ამსოლუტურად გასაგები გახდება, თუ გაცხადებს, რა ძალები გვამხმარებდა ბატონი ვასო: „ის ძალები, რომლებმაც გაიღეს ეს დიდი ხარკი იმისათვის, რომ შემდგომ ათეული და ასეულ მილიარდობით დოლართან ჰქონოდათ საქმე, რომლებსაც მიიღებდნენ აფხაზეთის გაგული ჩვენთვის ნავთობის რეალიზაციიდან“...

აფხაზეთისათვის „საერთაშორისო იურიდიული სუბიექტის სტატუსის“ (სოფრომაძის სიტყვებია) მინიჭება უკვე ნიშნავს მის დამოუკიდებლობის პოლიტიკურ გადაწყვეტას, აფხაზად წოდებულ აფსუთათა ვერა ჩამოყალიბების ბოლო ეტაპს და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დასაწყისს.

რას მიიღებს საქართველო ამ 99 წლის განმავლობაში, ბატონი სოფრომაძის წინადადების შედეგად?

„აფხაზეთიდან დევნილმა ყოველმა ოჯახმა უნდა მიიღოს ის თანხა... შეიძინოს საცხოვრებელი სახლი ან მიწა და შეიქმნას საარსებო მატერიალური ბაზა (საღ - რ.ს.)...სამუდამო თანხა უნდა განისაზღვროს 75000-დან 100000-მდე აშშ დოლარის ექვივალენტით თითოეული დევნილი ოჯახისათვის; განეთარდება ტურისტული ბიზნესი, რაც განავითარებს სოფლის მეურნეობას; რადგან „საქართველო მაღალი ინტელექტის ქვეყანა (მი) აქცეთ უწოდებელი!“ - რ.ს...ის გულისხმობს მის ფიცილის წამყვანი საწარმოო ფირმების ფიცილების შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე (მეტს არ იმას-

ურებს ქართული ინტელექტი? - რ.ს.) და მზა პროდუქციის გატანას დღეს-ღამე მსოფლიო ბაზარზე (საქართველოსთვის არაფერი ვმტება? - რ.ს.)“.

მაშასადამე, დევნილებს მშობლიურ კუთხეში დაბრუნება აღუკვეთებათ 99 წლით, თუ მეტით არა, 75-100 ათასი დოლარის ექვივალენტური თანხად. საქართველოს არ ექნება საკუთარი მრეწველობა და მეცნიერება. ქვეყანა „სოფლიოს წამყვანი საწარმოო ფირმების ფიცილების“ ადგილად, მოსახლეობა კი ტურისტების მომსახურე პერსონალად, სხვისი ხელის შემყურად გადაიქცევა. 99 წლის შემდეგ გალის რაიონი, თუკი საქართველო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას (ანტაგ, დედაც, რასო? რ.ს.), დაბრუნდება საქართველოს იურიდიქციის ქვეშ, ხოლო ქართველი და აფხაზი ხალხი ჩაატარებს რეფერენდუმს, სურთ თუ არა მათ ერთ ქვეყანაში ცხოვრება. ამ რეფერენდუმის შედეგები საბოლოო წერილობით დაუსვამს აფხაზეთის შემოერთების ან დამოუკიდებლობის საკითხს და, მეტწილად, (ამბობს ბატონი ვასო. რ.ს.) აქ ყველაზე მთავარ ფაქტორს ითამაშებს უკვე ეკონომიკა და არა პოლიტიკა“.

ხომ უაზრობაა ასეთი რეფერენდუმი? 99 წლით ადრე ბატონმა ვასომ აფხაზებს უკვე გადაუწყვეტა პოლიტიკური „ფაქტორი“. ამ დროის გასვლის შემდეგ რას თხოვს, გაუგებარია, რატომ უნდა მოისურვოს დამოუკიდებელმა ქვეყანამ საქართველოში დაბრუნება? თუ მას თავიდანვე აფხაზებს დიდი ხარკის გამიღები ძალები (ლაპარაკია აფხაზეთისა და ჩვენთვის რუსეთის მიერ გაწეულ დანაჯარგებზე ასტრონომიული თანხებისა და ადამიანების სახით), რომლებიც „განა გათვალისწინებენ ან ადარდები იმ სამასი ათასი გასულ დღეებში, აფხაზეთიდან დევნილი ხალხის ბედი და ან მილიანად საქართველოს ბედი, რომლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 2 პროცენტს იმ მოგებიდან, რასაც ულიან ამ კონფლიქტის ორგანიზატორები“.

არავითარი სურვილი არა მაქვს, შევიდე სოფრომაძის „შემამკობელ მავანსა და მავანს“ (მათ სიმა ვიციკხობლად), არც მისი ნაწერის რეზონანსი მაწყობს, მაგრამ, ფაქტია, მას ნამდვილად დააეწყინა, რა თქვა წერილის დასაწყისში და ბოლოში ქართველების მოტყუება გამოდგება.

მგერა, რომ გსოფრომაძემ „გარის-კა“ (თუ გარისკა) საკუთარი შეილებისა და საკუთარი ბიზნესისათვის, მაგრამ არა - საქართველოსათვის იმამდე გერავინ დამარწმუნებს, რომ „სამშობლოსთან 16 წლის განმარების შემდეგ 1 წლის წინ სამუდამოდ“ დაბრუნებულ ვასილ სოფრომაძეს, ვინც ამბობს: „ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან დაეფიქსირა... რომ ეს პროგრამა არ არის დღეს მოგონილი და არ გამოდის დღევანდელი კონიუნქტურული მოსაზრებებიდანო“, დავალება არ ჰქონდა მიცემული მავანთა და მავანთაგან, რომ ქართველებში სამშობლოს გრძობა და პატრიოტიზმი, მოჩვენებითი განცხრობის დაპირებით, ეკონომიკური, ობიექტური მოთხოვნებით შეეცალა, საქართველო უცხოელთათვის ტურისტულ და საწარმოო პოლიგონად ექცია და ქართველთათვის ქართველობა დაეფიქსირა.

მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ ეს წერილი შეილებსადგურად თავგაჯიშულადაა დაწერილი, მაგრამ რა ვუყო, რომ გული გასკდომამდე მისული?!

ამიტომ, ვიფიქრებ: ქართველებო, გაიდვიდეთ! საქართველოს გვართმევნი! გაიგეთ, ბოლოსდაბოლოს, ნუ გძინავთ!!!

**რეპეზ სალია,**  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მცხენი-რ-თანამშრომელი  
 სამართველოს პროფული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი

## ამასაც მოჰსწავით...

ბაქსის რაიონში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით ვრცელდება შედეგოვთა გაოცება.

გეა-ს კორეესპონდენტის ცნობით, დღემდე საკონტროლო ზოდში გაფიცულია გალის რაიონის სოფელი საბერიოს 1-ლი და მე-2 საშუალო და სოფელი ტყუბურხინჯის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების პედოგოგები. აფხაზეთის ხელმძღვანელობა ცდილობს გაფიცულთა დაწყინარებას და სწავლის გაგრძელებას. გალის გამგებლის, დომიას განცხადებით, იმ სკოლებში, სადაც ქართული ენის მასწავლებლები საკმარისია, სწავლება შესაძლოა გაგრძელდეს ქართულად, დანარჩენებში კი რუსულად და აფხაზურად უნდა მიმდინარეობდეს. (მპა)

### გვინახავთ ახალი გვინახავთ იმითი?

თხილით ვაჭრობისას აფხაზთა მიერ დაკავებული ტყვეების - 4 ზუგდიდელი და 2 გალელი მოქალაქის გაცემა დღემდე არ განხორციელებულა.

გეა-ს კორეესპონდენტის ცნობით, აფხაზური მხარე მათ გაცვლას ითხოვს იმ აფხაზ ტყვეებზე, რომლებიც, მათი აზრით, ქართველებს ჰყავთ. თუმცა, კონკრეტულად ამ „საგარაუდო ტყვეთა“ ვინაობას თავადაც ვერ ასახელებენ. (მპა)

### საერთაშორისო ახმანა?

გეა-ს კორეესპონდენტისთვის სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გაღსა და ზუგდიდში განთავსებულმა ოფისებმა გაწყვიტეს კავშირი დევნილ მოსახლეობასთან.

ამავე დროს, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობენ კომერციულ გარიგებაში აფხაზეთის რეჟიმის წარმომადგენლებთან, მათ აფხაზეთიდან ხე-ტყე უცხოეთში მიაქვთ. დაფიქსირებულია ფაქტები, როცა საქველმალად ფასებში იქნა ხე-ტყის მასალა გამოყენებული ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა სამსახურების 90%-ზე მეტი დაკომპლექტებულია ჩამოყვანილი ადგილობრივი მოსახლეობით, მაშინ, როცა დევნილი მალაქკალაფიციური სპეციალისტები 4 წელია დაუსაქმებელი არიან. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, სარწმუნო წყაროთა ინფორმაციით, ხშირად ფორმალური ხასიათისაა და უხარისხოდ ტარდება. დევნილები უკვე კატეგორიულად მოითხოვენ, სათანადო ორგანოებმა ჩაატარონ კონტროლი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიერ. (მპა)







1868 წელს ადოლფ ბერუმ (1829-1886) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში გამოაქვეყნა ორი თურქული დოკუმენტის რუსული თარგმანი ამთავან ერთი სულთანის ჯარის ქაპიტან-ადამ იბრაჰიმ-ხაშიმის წერილია აფხაზი ფეოდალებისადმი, ხოლო მეორე იმხალეთის დიდი ვეზირის მედროშის აბდურაჰმანისა აფხაზ თავად მანდიისადმი. ორივე დოკუმენტი 1805 წელს ჩანს დოკუმენტში. სამ-წუხაროდ, ამ დოკუმენტების თურქული დედნების ტექსტი არ დაბეჭდილია, მათი ადგილსამყოფელი არათუ ჩვენთვის, თვით აბერუსთვისაც უცნობი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ისინი მას ხელთ არ ჰქონია, თორემ ათობით სხვა თურქული, სპარსული თუ რომელიმე სხვა ენაზე შედგენილი დოკუმენტების დარად, რომლებიც მან ამ უზარმაზარ ტომებში დაბეჭდა, ამ თურქული დოკუმენტების დედნისებურ ტექსტებსაც გამოაქვეყნებდა აბერუს ხელთ. ჰქონია მხოლოდ ძველი, რუსული (სლბათ, 1805 წელსვე შესრულებული) თარგმანი ამ დოკუმენტებს, რაზედაც უთითებს მათი რუსული თარგმანის პუბლიკაციაზე მიწერილი სიტყვები: перевод старый.

მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტები, გარდა იმისა, რომ მათში დაცულია საყურადღებო ცნობები იმპერიული აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიისათვის, ფრიად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ უცნობ მთარგმნელს, მისდა სასახელოდ, ზუსტად გადმოუღია თურქული დედნისებური დაწერილობა აფხაზ ფეოდალთა გვარ-სახელებისა, რაც საშუალებას იძლევა ამ საგარეულოთა ეთნოგრაფიული თვითიდენტიფიკაციის საკითხზე მსჯელობისა. მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველები გაეცნონ ორივე ამ დოკუმენტის ქართულ თარგმანს.

**1. იბრაჰიმ ხაშიმის წერილი აფხაზი თავადებისა და ახანურებისადმი (1805 წ.)**

ბედიის ციხე-სიმაგრის მახლობელ სოფელ კობათის (Кобати) პატრიარქულ თავად სოლომონ ხაშიმხაძეს (Хашимхадзе) და აფხაზეთში, ილორის ნეთსაყუდელის მახლობლად, სოფელ კვადში (Квади) მცხოვრებ თავადებს და ახანურებს - მანანტებს (Мананты) და ანაკლიაში მცხოვრებ შარვაშიძეს (Шервашидзе), ეუცხადებ, რომ მისი კეისრული უდიდებულესობის, ჩემი ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მოვალაპის, დამნაშავე ტაიარ-ფაშასთვის, რომელიც გაიქცა ცხუმის ციხეში, თავის წარკვეთის და უმადლეს კარზე გამოგზავნის შესახებ არაერთგზის გაცა უმადლესი განკარგულება და გიგზაენა კაცები ქვეშ-ბეგთან, ცხუმის ციხის მფლობელთან და თუშქა მან წერილით იმ ფაშასთვის პატივითა თხოვა, რომელიც აფხაზეთში გაიხიზნა და მას შეეკედლა, მაგრამ ის, ზემოთხსენებული ტაიარ-ფაშა ისეთი მოვალაპა, რომ მისი შეწყალება არაფრით არ შეიძლება და ამიტომაც, ახლა გიგზაენა განსაკუთრებული ფორმანი და წერილი ქვეშ-ბეგთან, ტაიარ-ფაშასთვის თავის წარკვეთის და მისი აქ გამოგზავნის შესახებ. ეს მოვალაპე ტაიარ-ფაშა სხეებს არ ედრება, ის ჩვენი ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მოვალაპა და უმადლესი კარი თხოვს მის თავს.

უკეთუ რომელიმე თქვენთავანი გაბედავს ზემოთ ხსენებული ტაიარ-ფაშას არმოცემას, დაისჯება სასტიკად. ამიტომ, თქვენ ყველამ ერთად ქვეშ-ბეგს უნდა ურჩიოთ თავი მოაკვეთოს ტაიარ-ფაშას და გამოგზავნოს.

თუკი თქვენ ამ უმადლეს განკარგულებას შეასრულებთ, წყალობას მიიღებთ და ჩვენ შევეცდებით დაეაკმაყოფილოთ ჩვენამდე მოღწეული თქვენი თხოვნები.

ეს წერილი გაიგზავნა მოწყალე ვეზირის მედროშის ხელით და მისი მიღებისთანავე შეასრულეთ ეს განკარგულება (АКТЫ, II, გვ. 872).

**2. თურქეთის ვეზირის მედროშის აბდურაჰმანის წერილი აფხაზ თავად მანდიისადმი (1805 წ.)**

სალამთან ერთად გიცხადებ, რომ ამას წინათ ჩემი ხელმწიფეთ ხელმწიფის უმადლესი ფირმანით გამოგზავნეს ცხუმელ გამბეგულ ქვეშ-ბეგთან უმადლესი კარის მოვალაპე ტაიარ-ფაშასთვის თავის მოვალაპედ და მისი თავის წამოსაღებად, იმ პირობით, რომ თუ ის მორჩილად შეასრულებდა სულთნის ნებას, წყალობად მიიღებდა ვეზირის სახე-

ს. გვ. 872-873).

ეს ორი, ოდნავი შემოკლებით თარგმნილი თურქულ დოკუმენტი აფხაზეთის ისტორიის ცალკეული საკითხებისათვის ფრიად მნიშვნელოვან რამდენიმე ცნობას შეიცავს, მაგრამ იმისათვის, რომ ამ ცნობების არსს ჩაწვდეთ, საჭიროა რამდენიმე მანძილზე გავეცნოთ მასში მოხსენიებულ ტაიარ-ფაშას და მის შემკველად ქვეშ-ბეგ შარვაშიმის ვინაობას.

ტაიარ-ფაშა იყო შვილიშვილი სახელგანთქმული მოღვაწის, დაბათა უსაყვარლესი თავაკაცის - ჯანიკლი ალი-ფაშასი, რომელიც ლაზეთს განაგებდა 1749-1785 წლებში (А.Миллер, Мустафа паша Байрактар, Оттоматская империя в стр. 79).

**ორი თურქული დოკუმენტი აფხაზეთის შესახებ**

ლოს, მისი შვილები კი ბეგობას და ტაიარ-ფაშას დანარჩონ მამულს ყოველგვარი სადაოობის გარეშე; მე მას გაეცანი ხელმწიფის ეს ნება და დიდი ვეზირის ყველა დაეალება, რომ თუ უმადლესი ნება არ აღსრულდება, მაშინ ერზურუმისა და ტრაპიზონის ახლანდელ მფლობელს ოუსუფ-ფაშას და ჩიღდირის მფლობელ სელიმ ფაშას, ნაბრძანები აქეთ აჭარის ხეობით მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრან აფხაზეთისკენ, რამაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, როცა ნახავთ უმადლესი ფირმანის ასლს ჩვენ კი დიდი ხომალდებითა და კარჭაპებით დაეიძრებით რამდენიმე დღეში აი, ყოველივე ეს მოხდა ქვეშ-ბეგის უგუნურობის გამო.

ჩემი აქ პირველი ჩამოსვლისას გაიფიქრე ყოველივე ის, რასაც თქვენ, თავადი შარვაშიძეები და ხაბშიხაძე უზუნებოდით ქვეშ-ბეგს, რომ უმადლესი კარი ტაიარ-ფაშასთვის თავის მოკვეთის შესახებ თავის მოთხოვნას არ დათმობს და რომ სხვა გამოსავალი, გარდა ტაიარ-ფაშასთვის თავის მოკვეთისა და მოგზაენილი შიკრიკის ხელით (სულთნისათვის მირთმევისა არ არსებობს, რომ ჯერ არს დამორჩილება თურქთა დიდი ხელმწიფის კარისადმი; ყოველივე ამის შესახებ მე განუუცხადე პირველ ვეზირს და უკვე დიდ ხელმწიფესაც მოხსენა, რაც ძალიან სასიამოვნო იყო; ახლა კი ქაპიტანად უმადლესი კარისა თქვენ სამს წერილი გაახვანა, დიდმა ვეზირმა კი სეპორად მიბრძანა - მე თითონაც მომეწერა თქვენთვის ეს წერილი, მისთვის დამეროთ ფირმანის ასლი და თქვენთვის გადმოემცა ხელმწიფის წყალობა, რომ თქვენ გეპობათ ხეობები და ტკბილად იცხოვრებთ იქ და თუ შეიკრიბებით ერთად და იმ კანონდამრღვევის ხელთ ივდებთ და არ მისცემთ რა გაქცევის საშუალებას, თავს მოჭრით და მე ჩამაბრებთ, მაშინ ტრაპიზონის საბაჟიდან ყოველწლიურად მიიღებთ 5-5 ქესას; ვეზირმა აგრეთვე მიბრძანა თქვენთან კაცის გავზაენა, რათა თუ თქვენ ამ სამსახურს გაუწყვეთ (დიდ სულთანს) და ყველა აფხაზი თავადისა და ახანურის დახმარებით იმ მოვალაპეს დაიჭერთ. 5-5 ქესა მოგეცემათ უცილობლად თქვენ და თქვენს შთამომავლებს.

პირველი ვეზირის ბრძანებით დაეწერე ეს წერილი და გიგზაენით ჩემი კაცის ხელით და მე გადმოემცა ნაპირზე ნეთსაყუდელთან და შეგზებდით ზოგი საქმის ზეპირი განმარტებისათვის. გთხოვთ, ჩემივე კაცის მეშვეობით მიცნობით თქვენი შეხედულება შარვაშიძესთან და ხაბშიხაძესთან თქვენი შეერთების შესახებ, როგორც ამ საქმის უკეთ შესრულების, ასევე ჩემთან პაემნის თაობაზე, აგრეთვე ანატოლიიდან ჯარების მოსვლის შესახებ (АКТЫ,

начале XIX века, М.1947, стр. 61, 109; დეჯანელიძე, საქართველო და აღმოსავლეთი, თბ.1984, გვ. 178-212).

ტაიარ-ფაშა, როგორც პეციანოვისადმი მისი ერთი წერილიდან ირკვევა, ბატალ-ფაშას ძე ყოფილა. ის რუსეთში იყო ნაცხოვრები და პოლკოვნიკის ჩინიც ჰქონდა (АКТЫ, II, გვ. 903). ის ჯერ ტრაპიზონის ფაშად იჯდა, 1803 წელს კი ერზურუმის ფაშად დაინიშნა, როგორც სამთლიანი ფაშა (АКТЫ, II, გვ. 903).

ტაიარ-ფაშას შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული უცხოელ მოგზაურთა და მის თანამედროვე მკვლევართა თხზულებებში. ფრანგი მეცნიერი უტანკუანი წერს, რომ ღაზები მხოლოდ ტაიარ-ფაშას ემორჩილებოდნენ. ვერმანელი მეცნიერი კარლ რიტერი კი წერს: „ფაშას წოდებას ჭანეთში მხოლოდ ტაიარ-ფაშას საგარეულო ატარებდა. ის დამოუკიდებელი და პატრიარქალური ძალაუფლების მქონე იყო.“ (J.Tancoigne, Lettres sus la Perse et la Turquie d'Asie, t.II. Paris, 1819, p.201; K.Ritter, die Erd Kunole, t. XVIII, I buch, West-Assie, band I, Berlin, 1858, p.108).

1805 წლის 20 მაისს ი.კონიუშენკო იტალიისკირიაში წერილში წერს, რომ თურქეთის სულთნის კარმა „სურდა რა რეგულარული ჯარისა და ყაზარმების შექმნა, ჯერ კიდევ შარშან დაეაფლა ტაიარ-ფაშას მისი შემოღება ტრაპიზონსა და ჭანეთში (ჯანეთში)“, მაგრამ ტაიარ-ფაშა „თავს არიდებდა ამ მითითების შესრულებას“ (АКТЫ, II, გვ. 886).

ტაიარ-ფაშა დამოუკიდებლობის მოპოვებას რუსეთის მფარველობაში შესვლით დამზდა 1805 წელს ჩერტოვისკი ეგენერალ პეციანოუს წერილი: „ცნობილია, რომ ტაიარ-ფაშა ტრაპიზონელს, ძეს ბატალ-ფაშას არაერთხელ გამოუვლენია რუსეთისადმი თავის მიდრეკილების ნიშნები. ძალიან კარგი იქნებოდა მასთან მიმოწერა დაგვეწყობო“. ამასთან ერთად ჩერტოვისკი აღნიშნავდა, რომ ტაიარ-ფაშა სულთნის კარს არ ემორჩილება და ამიტომ მისთ უკმაყოფილონი არიან და არ ენდობიანო (АКТ, II, გვ. 885).

სულთნის წინააღმდეგ ტაიარ-ფაშამ აშკარა ამბოხება დაიწყო. ამ ამბოხების შესახებ მერფასი ცნობებია დაცული იმდროინდელ ევროპელ ავტორთა თხზულებებში. კერძოდ, ფრანგი მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნის აბდე უობერის (1779-1847) მოგზაურობის აღწერილობაში, ინგლისელი მოღვაწის ჯოფორდ პად-გრევის ნაშრომში და სხვაგან (ინაჟუბი, ამავე უობერის ცნობები ჯანიკის 1805 წლის აჯანყების შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VIII, თბ., 1993, გვ. 211-215; Дж.Палгрев, О провинциях Анатолии за 1867-1868 и 1882 годы, Типт. 1882.

ლემ-ბეგი, მიუხედავად ამ მიზნით მასთან არაერთგზის მოციქულის გაგზავნისა, ბრძანებას არ ასრულებდა და ტაიარ-ფაშას შეწყალებას თხოვდა სულთანს.

ამიტომ მასთან კიდევ ერთი მოციქული გაგზავნა. ეს იყო ზემოთ წარმოდგენილი ორი წერილიდან ერთ-ერთის დამწერი, თურქეთის დიდი ვეზირის მედროშე აბდურაჰმანი, რომელსაც დაეალებული ჰქონდა ცხუმის ბეგზე ზეგავლენის მოხდენა, მის მიერ სულთნის. ამ უწყალო ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

აბდურაჰმან მედროშეს სულთნის კარის დიდმოხელემ იბრაჰიმ ხაშიმხაძეს მუქარის წერილი გამოატანა აფხაზ თავად სოლომონ დიაფ-იფასთან, ახანურ მანთან მარლანისთან და ანაკლიის ციხეში მდგომ შარვაშიძეებთან. ამ წერილში, როგორც ენახეთ, იბრაჰიმ ხაშიმ ხაშიმ დიდებულებისაგან მოითხოვდა, რომ ქვეშ-ბეგ შარვაშიძისათვის ერთი ტაიარ-ფაშასთვის თავის წარკვეთა და სტამბოლს გაგზავნა.

დიაფშიფებს და შარვაშიძეებს მართლაც ურჩევით ქვეშ შარვაშიძისთვის შეესრულებინა სულთნის ბრძანება, მაგრამ ამაოდ (АКТЫ, II, 872).

ეს ორი დოკუმენტი მრავალმხრივად საყურადღებო რაც მთავარია, მათგან თვალნათლივ ჩანს აფხაზ თავადთა შორის უპირველესის - ცხუმის ციხე-სიმაგრის მფლობელ ქვეშ-ბეგ შარვაშიძის დამოკიდებულების ხარისხი ოსმალეთის სულთანისადმი, რომლის მიერაც ბოძებული ცხუმის ბეგობა მას თავის პიროვნულ თვისებებთან ერთად სხვა აფხაზ თავადებს შორის გაპირველკაცების მხარეს არა გამოთვლების საშუალებას აძლევდა.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, XIX საუკუნის დამდევისათვის ქვეშ-ბეგი უკვე იმდენად გაძლიერებული ყოფილა, რომ სულთნის ბრძანების არშესრულებას ბედავდა, თუმცა ეს სრულყოფით არ ნიშნავს იმას, რომ ის დამოკიდებული ხელისუფალი მთავარი იყო. მეტოც, ის, ისევე როგორც ცხუმში მდგომი ყველა სხვა შარვაშიძე, თურქეთის მიერ განხილდებოდა არა მთავრად (ხანად ან მედიად), არამედ თავის მოხელედ - ბეგად სულთნის კარისათვის ცხუმის ბეგი არაფრად განსხვავდებოდა სხვა აფხაზი, მეგრული, გურული ან იმერული თავადებისაგან, რომლებსაც ასევე ბეგის ხარისხში ცნობდა მან, როდესაც, როგორც ერთ ჩემს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომში გავარკვიე, ოდიშისა და გურიის მთავრები სულთნის კარზე მედიქებად (მეფეებად) და ხანებად მთავრებად მიიჩნეოდნენ, ცხუმის ციხის მფლობელები (ციხისთავები), ცხუ-

მის ბეგებად იწოდებოდნენ. სწორედ ესაა მძებნი (შარვაშიძე) თურქულ დოკუმენტებში ქვეშ შარვაშიძე მოხსენიებული არა ხანად (ან მით უფრო მედიად), არამედ ბეგად, და ეს ისტორიული სინამდვილის ასახვა და ამას ვერცერთი პატიოსანი ისტორიკოსი ვერ უარყოფს.

ნიშანდობლივია, რომ ქვეშ შარვაშიძე თურქეთის სახელმწიფო მდივანის აჰმედ რეჯებ ეფენდის მიერ მისთვის მიწერილი თურქული წერილის ფრანგულ თარგმანში comendant de Sohoum-ად არის მოხსენიებული (АКТЫ, II, გვ. 452).

ეს რაც შეეხება ქვეშ შარვაშიძის თანამდებობრივ ხარისხს, მაგრამ ეს ორი თურქული დოკუმენტი ყურადღებას იპყრობს არა მარტო იმით, რომ ქვეშ შარვაშიძე აქ დასახელებულია ბეგად (და არა ხანად, ან სულაც მალექად), არამედ განსაკუთრებით იმით, რომ აქ აფხაზი თავადების გვარები მოხსენიებული არა მათი აფხურული ფორმით (ჰიაშ-ია, ჭაჭა, მანი, არამედ ქართული ფორმით, ძიაშ-ია თურქ მოხელეს ჩაუწყობია ზაფშისადეს სახით, ხოლო მანში მეგრულად მარლანია), მანდიის სახით. ეს კი იმაზე უთითებს, რომ ამ საგარეულოთა წარმომადგენლები თურქებისათვისაც ცნობილი იყვნენ, როგორც ზაშშიაძე, შარვაშიძე და მანდიძე, როგორც ქართველი ფეოდალები. არადა, როგორც ფეოდალები, ისინი მართლაც ქართველები იყვნენ.

აფხაზეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ქართული ფეოდალი ზემო იყო. აფხაზი ფეოდალები, ისევე, როგორც მეგრები ან სვანთა ფეოდალები, თავს ქართველ (და არა მეგრად ან სვანთა ფეოდალებად თვლიდნენ. ამიტომ, რომ მეგრული ფეოდალური (თავადური და ხშირად ახანურული) გვარების უდიდესი ნაწილი ქართული გვარის მაწარმოებელი და ფორმანტს დაირთავს (დგებოდადგებუაქ, ჩირუა-ჩიჯაგაქ, აფაქია-აფაქიძე, ნორაკია-ნორაკიძე, ახვაფარია-ახვაფარიძე). ასეთივე მდგომარეობაა აფხაზურ სათავადო გვარებშიც: აზბ-ანბაძე, ინალიფა-ინალიშვილი, ჭაჭა-ჭაჭაძე\*. ამავე მიზეზითაა, რომ თავს XVIII-XIX საუკუნეთა მეგრულში მარგალი (მეგრული) არა მხოლოდ ეთნონიმს, არამედ გლეხის აღმნიშვნელ სოციალურ ტერმინსაც რომ წარმოადგენდა.

აფხაზი თავადებიც რომ ქართველ ფეოდალებად (ქართველებად) თვლიდნენ თავს, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ, როცა 1832 წლის შეთანხმებაში მონაწილეობისათვის მოთხოვნილი კონსტანტინე შარვაშიძეს რუსმა გამოძიებელმა პკითხა, „შენ, აფხაზი თავადი, მინც ქართველების ამ შეთქმულებაში როგორ აღმოჩნდიო“, კონსტანტინე აღმყოფობით შეესწორა რუს მოხელეს: „Судяры, я не афхазский, а грузинский князь“.

ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, აფხაზური სათავადო საგარეულოები თურქეთის სულთნის კარზეც ქართულ ფეოდალურ სახელებად მიიჩნეოდნენ და მათ გვარსაც, ცხადია, მათივე ღირსების შესაბამისი სახით (ანუ ქართული ფორმით) წერდნენ.

**აპასაჩოა გენაში**

როგორც ჩანს, XII-XIII საუკუნეებში ჭაჭასძებმა დაიკავეს შარვაშიძეთა ნამკვედრალი მამული (ძალით თუ იმის გამო, რომ ამ უპანასკნელთა გადაშენების გამო, მწელი სათქმელია) და ამ აქტის გაკანონიერება, ეტყობა, განხორციელდა რომელიღაც მეფის მიერ ჭაჭას ძის შარვაშიძედ დასმით ანუ მისთვის შარვაშიძის გვარის ბოძებით (გვარის ბოძების, როგორც მამულზე კანონიერი, შემკვიდრუბობით უფლების მინიჭებელი აქტის შესახებ იხ. აბტულუში, გვარის სოციალური ფუნქცია ფეოდალურ საქართველოში, ჟ „ცისკარი“, 1997, №8, გვ.128-130).







# დაბარია ყველასათვის

## 3 რეკლამის განკარგულ 39-ე გირაჟი „დაბარია ყველასათვის“ პირველ შედეგზე ნომერზე:

5000 ლარი - 726171;	60 ლარი - *32874;
1000 ლარი - 846185;	60 ლარი - *46450;
900 ლარი - 347128;	50 ლარი - *28989;
800 ლარი - 641023;	50 ლარი - *44522;
700 ლარი - 501206;	40 ლარი - *03723;
600 ლარი - 517081;	40 ლარი - *44826;
500 ლარი - 412080;	30 ლარი - *39686;
400 ლარი - 120593;	30 ლარი - *19565;
300 ლარი - 334432;	25 ლარი - **9545;
200 ლარი - 335185;	20 ლარი - **6636;
100 ლარი - 718303;	10 ლარი - ***480;
100 ლარი - 748216;	10 ლარი - ***078;
100 ლარი - 242122;	10 ლარი - ***947;
100 ლარი - 636382;	5 ლარი - ***898;
100 ლარი - 242747;	1 ლარი - ***185;
90 ლარი - *20961;	1 ლარი - ***432;
90 ლარი - *05618;	1 ლარი - ***080;
80 ლარი - *37567;	1 ლარი - ***081;
80 ლარი - *28325;	1 ლარი - ***128;
70 ლარი - *22389;	1 ლარი - ***206;
70 ლარი - *35294;	

„დაბარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს. 1997 წლის 39-ე გირაჟის დაბარიაში ბილეთების მფლობელები რომელთა ბოლო ოთხი ციფრია 1670: შეუძლიათ 10 ოქტომბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „დაბარია ყველასათვის“ მორიგი გირაჟის გათამაშებაზე.

# „ზეგოლა სასაბარტოლო“ განხორციელდა ზევიდა

სამარტოლო ცხოვრებაში ბოლო დროს მოხერხებულმა დაბარიაში და ოფისებიდან ძალიან გამოსახელების ტენდენციამ რუსთაველის საზოგადოებაში იჩინა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ოფიციალურად 1988 წლიდან არსებობს, ვლად-ვლადიკოვების ინტერესით იგი არაკონკრეტულად მიიწოდება და მისი ინტერესების საზოგადოებას სსსრკ-ში, 1996 წლის 16 მარტს ჩამოყალიბდა. მას სათავეში პოეტი მურმან ლეზინი ჩაუდგა. დღეს საქართველოს ორი რუსთაველის საზოგადოება ჰყავს, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად გამოვლადება უკანონოდ, ხოლო რომელი, ამას, ალბათ, ის განსაზღვრავს, დაამტკიცებს 1988 წელს შექმნილი საზოგადოება თავის კანონდროებს თუ გაიმარჯვებენ „დღიური ამა სოფლისანი“, რომელთა ინტერესებიც საკმაოდ დიდია ამ საკითხში.

შენობაში, რომელშიც რუსთაველის საზოგადოება განთავსებული, სარეზონანსო სამუშაოები ჩატარებულია „ივერთანის“ მიერ, რომელმაც ოფიციალური დოკუმენტის გარეშე დიდი ხელშეკრულება რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის ძველ მოადგილესთან - თემურაზ ლომინიძესთან, რომელიც, ამავე დროს, „ივერთანის“ აქციონერთა საბჭოს პრეზიდენტიც იყო. სიტყვიერი ხელშეკრულებით, რეზონანსის შემდეგ შენობის 75% უნდა გადასცემოდა „ივერთანის“. სრული პირობების შესახებ მხოლოდ ლომინიძე და „ივერთანისმა“ იცოდნენ.

რეზონანსის დასრულების შემდეგ, „ივერთანისმა“ მოითხოვა „ივერთანის“ 75%, რასაც არ დათანხმდა რუსთაველის საზოგადოების მამულიერი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და ბანკს, დახარჯული თანხის შესაბამისად, 1 სართული და სარდაფი გადასცა.

„ივერთანის“ დღემდე ითხოვს ლომინიძის მიერ შეპირებულ დარბაზს, თავად ლომინიძე კი, ამასობაში, რუსთაველის სა-

ზოგადოების სახელით 250 ათასი დოლარის დახარჯვისთვის სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ვეჯის მორე რგოლი ოქსტიციის სამინისტროში შეიკრა იმის ნაცვლად, რომ 1996 წლის მარტში ამ სამინისტროს მიხედვით რუსთაველის საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია, მისი დოკუმენტაციის პაკეტი არასრულყოფილად სცნო და ამის საფუძველზე იგივე ოქსტიციის საბჭოს კონსულტაციით, ახალი რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, რომელმაც რეგისტრაცია 1996 წლის 14 აპრილს გაიკრა.

ვეჯის მესამე რგოლად უკვე მოაწოდნის სასამართლო გველივინა. მოსამართლე სერგო ლომიძემ ოქსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება სწორად მიიჩნია და კანონიერად ლეზინიძის რუსთაველის საზოგადოება სცნო (ცნობისათვის: ლომიძემ დღეს სხვა საქმესთან დაკავშირებით დატყუებული).

რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის ამჟამინდელი მოადგილის, კოტე კემულარის თქმით, მოაწოდნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე, გელა გველი ვინაა, რომ ამ განაჩენის გამოსატანად „ზეგოლა“ სასამართლოზე განხორციელდა შედეგად. რუსთაველის საზოგადოების საერთო აზრით, ეს „ზეგოლა“ ოქსტიციის მინისტრის, თეოდ ნინიძისგან მოდის.

რუსთაველის საზოგადოების ამჟამინდელი თავმჯდომარე გურამ გველი ვინაა, რომ სულაც არაა გამოცდილი, ოქსტიციის მინისტრის „ივერთანისისგან“ ქრამად ავიღო სლოიდური თანხა, რადგან მისი კონსულტაციით ახალი საზოგადოების შექმნა პარლამენტის „საკონსტიტუციო, ორიდოლუ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის“ მიერ კანონის უწყველად დარღვევად იქნა მიჩნეული, იგივე დასკვნა აქვს გამოტანილი კონკრეტული პალატაცი.

მოაწოდნის რაიონის დებუტატი, მამუკა არეშიძე რომელიც ამავე დროს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრაცაა, თვლის, რომ იქნის სასამართლოებში იმდენად ჭარბობს კორუფცია და „ზეგოლა“ დარეკის“ პრინციპი,


სწორედ შეუძლებელიც კი ხდება სამართლიანი განაჩენის გამოტანა.

სამოლოო ვაშში კი ასეთი აზრი იქმნება: „ივერთანის“ მიერ შენობის დასამართლებლად ან დიდი ფულია გადახდილი, ან ხელისუფლების ხელა ეშლინებს აწყოში 80-იან წლებში დაფუძნებულ რუსთაველის საზოგადოებას დაუბრუნებელი ახალი ვეჯე მიუთმეტი, რომ ამ საზოგადოების თავმჯდომარეობა ისეთ ხიზლს წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ უარის თქმა, რამაც, ალბათ, აციონა მურმან ლეზინიძე და კოდე ერთად ახლად შექმნილი რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელთა საბჭო ისეთი პირობებითა შეყვანილი, რომელიც უარს აცხადებენ მის წევრებს: „რუსთაველის საზოგადოების მორე შეკრებაზე და მათი სახელითი დასწრება ამ სტენარის ატორებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს.“

ასე თუ ისე ვეჯეჯეობით, არა მარტო შენობის ბედი, არამედ რუსთაველის საზოგადოების კანონიერებაც სასწორზე დგას. 21 ოქტომბერს კი ქალაქის სასამართლომ კიდე ერთხელ განიხილება ამ საზოგადოების საკითხი, სადაც, ალბათ, საბოლოოდ გადაწყდება, ვის დარბაზი გამარჯვება სამწუხარო კი ის არის, რომ ეს საკანალი, მამუკა არეშიძის თქმით, რატომღაც ზუსტად მაშინ დაიწყო, როცა დადგა საკითხი - მთელი საქსიის მამუკათა არსებული ქართული სათვისტომოები გადაკეთებულიყო რუსთაველის საზოგადოების ფილიალებად, რომელიც გაერთიანებდა საქსიის სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ ქართულ მოსახლეობას. (მ.პ.)

# პოლიტიკური კროსვორდი

თარაზულად 1 აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი; 6. ინგლისის ყოფილი კოლონია, რომელსაც ამჟამად თვითმმართველობა აქვს (სოვად ტერმინი); 7. ინდოეთის უკანონო-მინისტრი; 9. მექსიკის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე დიქტატორი (XIX-XX საუკ.); 11. ავღანეთის ლტოლვილი პრეზიდენტი; 12. ვანუატო-ციფრული ოცნება ფინანსი; 16. რანის რამდენიმე შპის სახელი; 17. აშშ-ს ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის ლიდერი; 19. პარლამენტი ფინეთში; 20. აზიის სამი სახელმწიფოს მდინარე; 21. ერთი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი დიპლომატიური მიმართულებით მეთრე ქვეყნის მთავრობისადმი; 24. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა; 25. რომელიმე წელი მეფის ტახტზე ასვლიდან; 26. ქალაქი, რომელშიც 1955 წელს შედგა აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის კონფერენცია; 29. იტალიის პოლიტიკური მოღვაწე მრავალჯერ უკანონო მინისტრი; 31. სლოვაკეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 32. რუმინეთის უკანონო მდივანი; 37. II მსოფლიო ომის შემდგომი ღონისძიება ფაშისტურ ქვეყნებში ნაცისტების მოსახლეობაზე; 38. აქტივისტების პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ვერმანის იმპერიალიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ; 39. ფეოდალური ტიპის სახელმწიფო, რომელიც შექმნა შამილა XIX საუკ. შუა წლებში დატყვევნისა და ჩქნეთის მთიან რაიონებში.



შპიულად 1 კონტრარელოკიონერი ქალი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ცნობილი მოღვაწის, მარტის მკვლელი; 2. რუსეთის „პირველი ლედი“; 3. ოდესის (რომის იმპერიის პროვინცია) მეფე; 4. სხვა ქვეყანაში არაოფიციალურად გაეზაინი (სადომლო პოლიტიკური დაჯილბით) პირი; 5. საფრანგეთის უკანონო მდივანი; 6. რუსეთის იმპერატორი; 7. ნორვეგიის პარლამენტი; 8. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილის დატროლიზებული ტრავიციის შესახებ ობიექტური ინფორმაციის ერთ-ერთი პირველი არაქართული ავტორი; 9. „მთავრის“ შესატყვის ტრეტული ადომოსელითის მამაბილა ნურ ქვეყნებში; 14. ქალაქი (ახლანდელი სახელწოდება), რომელშიც 1918 წელს დაიღო სამშვიდობო ხელშეკრულება ერთი მხრივ, რუსეთსა და მეორე მხრივ ვერმანის, აქსტრიას, უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის; 15. თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი, ათათურქის (თურქთა მამა) გვრიტ ცნობილი (ციხისწინე სახელი); 16. სახელმწიფოს ტერმინია ან ტერმინის ნაწილი, რომელიც ვარშეპირატყულია სხვა ქვეყნის სახელმწიფოებთან და რომელსაც არ აქვს ზღვის ნაპირი; 18. რუსეთის იმპერატორის, პავლე I-ის ერთ-ერთი მკვლელი; 22. საერთო თუ სასულიერო თანამდებობის პირის მოადგილე ადომოსელითის ზოგ მესოლმანურ ქვეყანაში; 23. ქალაქი ბულგარეთში; 27. იტალიის ფაშისტი დიქტატორის - მუსოლინის მეტსახელი (ბულიდი); 28. შტატი ამერიკაში; 29. პრეტს პრეზიდენტი - დამხობილი და გელა აღდგენილი; 30. ადელი საიდანაც 1870 წელს მიღებულ ლეზის მისმარება განხრახ მისცა საფრანგეთისათვის შერატყვევული სახე რაც მიწები ვანდ საფრანგეთ-პროსის ომისა; 33. დიდი ბრიტანიის სახელმწიფო მოღვაწე; 34. ქალაქი, რომელშიც 1918 წელს დაიღო ხელშეკრულება მენშევიკურ საქართველოს და ოსმალეთის შორის, რომლის ძალითაც საქართველომ დაკარგა ტერმინისა და მოსახლეობის მნიშვნელობანი ნაწილი; 35. მუსოლინის ტერმინისტული ორგანიზაცია; 36. საერთაშორისო ხელშეკრულება.

გ.პასიგაპილი

## საქართველო ეკოლოგიური კაბახსკროვის ნინაჟე ღვან

1000-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე აღძრული საქართველოს პროკურატურაში ტყის ნარგავების უკანონოდ გაჩენის ფაქტზე. განაცხადა პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორმა ლევან ქუთათელაძემ.

მისი თქმით, „ხალხი იძულებულია წაიდეკს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე ელექტროენერჯის დეფიციტის გამო.“

ქუთათელაძის ინფორმაციით, „მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე ტყის გაჩენება ისჯებოდა 50 დოლარის ოდენობის ჯარიმით, ხოლო აგვისტოდან იგივე დანაშაული ისჯებოდა 400 ლარი ჯარიმით სატყეო მეურნეობაში, 300 ლარით - ჭაობიან ზონაში, 200 ლარით - ქალაქში“. ამავე დროს, ქუთათელაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ენერჯოკრიზისის პირობებში შეუძლებელი იქნება გაჩენების პროცესის შეჩერება.

რაც შეეხება უსარისხო და არარეგულარული პროდუქტების პრობლემა, ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მათი რიცხვი ძალზედ დიდია მდინარეებზე და ბაზრობებზე პროკურორმა ერთი მაგალითი მოიყვანა: დახლები გადატვირთულია „ხეხუკარი“თ. ამ დროს, კახეთში უკვე 4 წელია გაჩერებულია ამ ლეინის მწარმოებელი ქარხანა.

ქუთათელაძის თქმით, ქვეყანაში ძალზედ დაბალია სანიტარული მდგომარეობის დონე. „დანგრეულია საკანალიზაციო სისტემა, არის ფიკალური ნაწილაკების მოხვედრის შემთხვევები წყალში, რომლის ქლორით დამუშავება არ ხდება.“

„შავი ზღვა საქართველოს რაიონში პრაქტიკულად მკედარია, მისი ფსკერიდან გოგირდი ამოდის და არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში მასში ბანაობა შეუძლებელი იქნება.“ (პრაიმ-ნიუსი)

## დაევალით. რა იქნება, ვანსოთ!

1997-98 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საქალაქო მეურნეობის მზადების მდგომარეობისა და ძირითადი ღონისძიებების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბახსკროვის მიერ მიღებული დადგენილებით საქალაქო სამსახურების ზამთრისათვის მოსამზადებელ ძირითად ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი დამტკიცდა.

თბილისის რაიონულმა გამგეობებმა მწვავე აგარითული სასკოლო შენობების გამაგარებითი სამუშაოებისათვის უნდა უზრუნველყონ განუშორების დაფინანსება; სააქციო საზოგადოება „თელასს“ დაევალია განსაკუთრებული კონტროლზე აიყვანოს და შესაძლებლობის ფარგლებში მიაწოდოს ელექტროენერჯია მეორე ცვლაში მომუშავე სასწავლო დაწესებულებებს.

მეორის სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების დეპარტამენტს დაევალია დედაქალაქის მსხვილ საეაჭრო დაწესებულებებთან ერთად თბილისის მოსახლეობის გასათბობი საშუალებებითა და ნაკლებად ელექტროტყეადი გამთბობი ხელსაწყოებით მომარაგება, შეშის სარეაქციო აცარი ადგილების გამყოფა. გაერთიანება „თბილნავთიმა“ ქალაქის ყველა რაიონში უნდა უზრუნველყოს ნაეთის რეალიზაცია. კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ დაწესდება სადღეღამისო მორიგეობა თოვლცვენიასა და ხანგრძლივი ყინვების, ასევე ჭარბი ატმოსფერული მოვლენების შემთხვევაში.

თბილისის სატელეფონო ქსელმა, ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ობიექტების აღჭურვა მეორადი ელექტროკაბებით და მოქმედი დიხელგენერატორებით. (მ.პ.)

მთავარი რედაქტორი  
**ნოდარ ბრიგადაშვილი**

**გაზეთი:**  
რედაქტორი: 93-20-36,  
რედაქტორის  
გრაფიკი: 93-18-41

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპრისი d. 5  
გაზეთის ინდექსი 66447  
**ფანო 50 თეთრი**

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს  
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია  
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის  
სასამართლოს მიერ. №06/4-444